საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/256 „ 1 „ ოქტომბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-5 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს სამს, გარდა ამ მუხლის 5^1-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“;

ბ) მე-4 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.$გ^1$“ქვეპუნქტი:

„ბ.$გ^1$) საარჩევნო დავა;“;

გ) 4^1 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.$გ^1$“ქვეპუნქტი:

„ბ.$გ^1$) საარჩევნო დავა;“;

დ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მოსამართლეთა შორის ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.$გ^1$“ ქვეპუნქტითა და 4^1 პუნქტის „ბ.$გ^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმეთა თანაბარ განაწილებას.“.

2. ეს გადაწყვეტილება, გარდა პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2018 წლის 10 ოქტომბრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი